

პოპულარობა სკოლაში

ქეთევან ცალუღელაშვილი

სკოლა ქ.თბილისის სსიპ 81-ე საჯარო სკოლა

გაკვეთილის სათაური Identity Match

კლასი მე-12

საგანი ინგლისური ენა

სასწავლო მიზნები - მოსწავლემ უნდა შეძლოს წაიკითხოს ტექსტი [Myth Busted: All Cheerleaders are Miss Popular](#) ამერიკელ მომხრეთა გუნდის წევრების შესახებ არსებულ სტერეოტიპებზე და შეძლოს ტექსტში მოცემული ინფორმაციის დაკავშირება უკვე ნანახ ვიდეოსთან, რომელიც აშშ ფილმის Bring It On: All or Nothing-ის ოფიციალური წუთნახევრიანი ტრეილერია- <https://www.youtube.com/watch?v=go3ELJdpkx4> . მოსწავლემ უნდა შესძლოს არსებული სტერეოტიპის კრიტიკული ანალიზი.

ე.ს.გ. უცხ.ს VI.13 მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ინტერაქციაში მისთვის ნაცნობ თემატიკაზე.

ე.ს.გ. უცხ.ს VI.19 მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას კულტურათა თავისებურებების მიმართ.

ე.ს.გ. უცხ.ს VI.20 მოსწავლეს შეუძლია უცხოური ენის ცოდნის საგანმანათლებლო მიზნით გამოყენება.

მედიაწიგნიერების მიზანი - მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება; სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება; სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

bust - დანგრევა	insinuates - ჩაგონება; სიტყვის გადაკვრა; ნდობაში შემოსვლა	plethora - ნამეტი, ნაჭარბი	inhumane - არაადამიანური
cheerleader -მომხრე, მიმდევარი	opposed - მოწინააღმდეგე	inundated with - ჩამოსხმული, დატბორილი	outstanding - გამოჩენილი
deem - მიჩნევა, ჩათვლა	acquaintances - ნაცნობობანი	oxymoron - ურთიერთსაპირისპირო სიტყვების შერჩევა, შეხამება	simply - უბრალოდ
judgmental - განკიცხვა	peers -სწორები, თანატოლები	every now and then - დროდადრო	shades - ჩრდილები

პოპულარობა სკოლაში
ქეთევან ცალუღელაშვილი

exclusive- განსაკუთრებული	are intimidating - აშინებენ	contradicting - საწინააღმდეგო	scholarly hubs - სამეცნიერო ცენტრები
bully- ჭინჭყლი; ტრაზაზა	shallow - ზერელე, ფუქსავატი	notion - შეხედულება	measure up - დონის მირწევა
squad - რაზმი	pick on - არჩევა	Once in a blue moon - ძალიან იშვიათად	indefinite- განუსაზღვრელი, შეუზღუდავი
entire - მთელი, მთლიანი	"dork" - მოსაწყენი, ასოციალური ადამიანი; „დებილი“	vibratos - ვიბრატო (მუსიკალური)	cheerleader- მომხრეთა გუნდის წევრი

რესურსები:

ვიდეოკლიპი <https://www.youtube.com/watch?v=go3ELJdpkx4> youtube-იდან,
[Myth Busted: All Cheerleaders are Miss Popular](http://www.blackenterprise.com/functional/black-history-month/10-black-people-myths-stereotypes-unbelievable/) ,
<http://www.blackenterprise.com/functional/black-history-month/10-black-people-myths-stereotypes-unbelievable/>

პროექტორი, კომპიუტერი, წიგნი, კალამი, სამუშაო ფურცლები

შენიშვნა: მეთოდურ მასალას თან ახლავს თარგმნილი მასალები. ასეთი გაკვეთილის ჩატარება შესაძლებელია ისტორიის, ქართულისა და სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე.

გაკვეთილის მიმდინარეობა

აქტივობა პირველი (დრო 5 წუთი)

მასწავლებელი მოსწავლეებს პროექტორით აჩვენებს და ასმენინებს ვიდეოკლიპს <https://www.youtube.com/watch?v=go3ELJdpkx4>

ვიდეო არის აშშ ფილმის Bring It On: All or Nothing ოფიციალური წუთნახვერიანი ტრეილერი. ფილმი არის უფროსკლასელ გოგონაზე, რომელიც არის „ყველაზე პოპულარული გოგონა სკოლაში - მომხრეთა გუნდის კაპიტანი“... მალე გადადის სხვა სკოლაში, სადაც ის არავის მოსწონს. მაგრამ მას ისეთი მოძრაობების შესრულება შეუძლია, რომ მოიპოვებს ადგილს ახალი სკოლის მომხრეთა გუნდში... პრომოში ჩანს, რომ ახალი სკოლის მომხრეთა გუნდში მოხვედრის შემდეგ იგი ისევ პოპულარულია და იბრძვის გამარჯვებისთვის. ჯილდო კი რაიანას მორიგ კლიპში გადაღებაა.

ვიდეოს არ ახლავს ტექსტი.

აქტივობა მეორე (დრო 10 წუთი)

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს კითხვარს. ისინი ავსებენ მას და კლასი ებმება დისკუსიაში

კითხვარი N1

კითხვები	სავარაუდო პასუხები
ვინ შექმნა მულტიმედია რესურსი?	იუნივერსალ სტუდიომ; აშშ კინოინდუსტრიამ.
ვინ არის მისი აუდიტორია?	თინეიჯერები; უფროსკლასელები.
რისი თემა სურს ავტორს?	მომხრეთა გუნდის წევრობა, განსაკუთრებით, კაპიტნობა მოსწავლეს პოპულარულს ხდის: იგი ადვილად იმკვიდრებს თავს ახალ გარემოშიც.
აუდიტორიის დასარწმუნებლად რა ხერხებს იყენებს?(მუსიკა, სიტყვები, სპეცეფექტები)	სპეცეფექტებს; ლამაზ გოგონებს; სპორტულ ტრიუკებს; მუსიკას; სიტყვებს
სანდოა თუ არა და რატომ?	დიახ, სანდოა; არა, არ არის სანდო.
მოიყვანეთ წყაროს სანდოობის არგუმენტი	მსგავსი სურათი ნაჩვენებია არაერთ ფილმში უფროსკლასელებზე. ლამაზი სანახაობაა და ოპტიმისტურ განწყობას უქმნის მაყურებელს.

აქტივობა მესამე, 10 წუთი

მასწავლებელი ატარებს 10 წუთიან ლექციას „მითები, სტერეოტიპები, ურბანული ლეგენდები“. მოსწავლეებს უჩვენებს პრეზენტაციას¹.

წყარო: <http://www.blackenterprise.com/functional/black-history-month/10-black-people-myths-stereotypes-unbelievable/>

სტატიაში მოცემულია 10 მითი, გაკვეთილზე მოსწავლეები განიხილავენ ხუთს. მითების შერჩევაში ცვლილება შესაძლებელია. მასწავლებლის ლექციის მიზანია მოსწავლეებს აუხსნას, რომ გავრცელებული სტერეოტიპები, მითები, ურბანული ლეგენდები ხშირად არ შეესაბამება სინამდვილეს. მასწავლებელი ლექციაში მოსწავლეებს ესაუბრება აშშ-ში გავრცელებულ სტერეოტიპებზე. სტერეოტიპებმა შეიძლება ადამიანის უფლებები შელახოს, გაუძლიეროს მას დაბალი თვითშეფასება.

¹ პრეზენტაცია თან ახლავს მასალას

PHOTOS

Like 483 Tweet G+ 5

A- A A+



Posted: March 27, 2013

SPONSORED

E-NEWSLETTERS

You Don't Say! 10 Unbelievable Myths About Black People

« PREVIOUS | NEXT »

Words by Amber McKynzie

There are a plethora of myths out there about black people, but the question is, which ones are actually true? For years, the black community has been inundated with oxymoronic myths that just continue as the years go on. At some point, someone needs to stop and say, How can all black people be lazy if they're all extremely athletic? Or, how can all black people spend the majority of their time running if they're supposed to be inside singing? It gets a bit hard to understand the myths if they're all contradicting each other, don't you think?

So from watermelon to welfare, Black Enterprise is exploring ten of the black

ADVERTISEMENT



Know Your Worth Own Your Truth Embrace Your Power!

მასწავლებლის ლექცია:

There are a plethora of myths out there about black people but the question is, which ones are actually true? For years, the black community has been inundated with oxymoronic myths that just continue as the years go on. At some point, someone needs to stop and say, How can all black people be lazy if they're all extremely athletic? Or, how can all black people spend the majority of their time running if they're supposed to be inside singing? It gets a bit hard to understand the myths if they're all contradicting each other.

Let's discuss some of them

Black People Make Everything About Race

Whenever there's a problem or something seems unfair, black people blame it all on the color of their skin, don't they? If someone cuts in front of them in line, it's because he or she was black; if the cashier at Starbucks unintentionally charges three double lattes instead of two, it's because the customer was black.

While those ideas might be true in some circumstances, the race card isn't every black person's go-to defense for life's misfortunes, no matter how small. The fact is, sometimes the next person deserved the promotion more, and every now and then it's the cashier's first day on the job and they just don't know any better. Race matters, but that's not the only thing that lies in the souls of Black folk.

All Black People Can Sing

*From Whitney Houston to Mariah Carey, it's no secret some black people can sing, but the notion that they all **can** just isn't true. Once in a blue moon, a talented person of color with a phenomenal voice are born. So while a few hundred black people are globally recognized for their inhumane octave ranges and outstanding vibratos, most of us will only be famous for singing in the shower!*

All Black People Run Fast

While Leon and Malik Yoba can run a 9.3-second 100 meter dash, that's not reality for anyone, regardless of their race; not even close. Although many people would like to believe that the black population is born with a magic running gene. But that gene simply doesn't exist.

Usain Bolt is one in a million, not one in three.

All Black People Look Alike

If you meet one, you've met them all, or at the least that's what they say when it comes to black people. According to the majority of America, or the world, little Tommy Jones from Crenshaw Blvd in Los Angeles is Kanye West's twin brother, no question. And if you let ABC tell it, Bill Russell and Morgan Freeman are one in the same.

But every black person does not share the same genes. They come in many different shades and sizes; some people have thick, curly hair while others' is silky straight. Not to mention, some of us are just taller than others. Unfortunately the idea that all black people look alike will never be true.

Black People Have Smaller Brains

For many years, scientists have tried to prove that the brain size and capacity of a black person is smaller than that of a White person, but no studies can prove such a thing. The idea is ridiculous. One of the world's first scholarly hubs was in Mali, West Africa—best known for its book trading and idea exchange.

People can try to continue to prove that black people don't measure up to other races, but that will be an indefinite process.

გთავაზობთ მასწავლებლის ლექციის ქართულ თარგმანს.

არსებობს ზედმეტად ბევრი მითი შავკანიანებზე, მაგრამ ისმის კითხვა, რომელია მართალი? წლებია, რაც შავკანიანთა საზოგადოებაზე ზღვა ოდენობა ურთიერთსაწინააღმდეგო მითი დადის. რაღაც მომენტში ვიღაცამ უნდა შეაჩეროს ეს და იკითხოს: როგორ შეიძლება ყველა შავკანიანი იყოს ზარმაცი, თუ ისინი უკიდურესად ათლეტურები არიან? ან როგორ შეიძლება ყველა შავკანიანი თავისი დროის დიდ ნაწილს სირბილს ანდომებდეს, თუკი ყველა

მომღერალია? ცოტა ძნელია მითების გაგება, თუ ისინი ურთიერთგამომრიცხავია. მოდით, განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

შავკანიანები მათ ყველა პრობლემას საკუთარი კანის ფერს უკავშირებენ

როცა პრობლემა და რაიმე უსამართლოდ ეჩვენებათ, შავკანიანები ყველაფერს მათი კანის ფერს უკავშირებენ. თუკი მათ ვინმე რიგში წინ ჩაუდგებათ, ეს იმიტომ, რომ ისინი შავიები არიან, თუ მოლარე Starbucks- ში უნებურად სამ ორმაგ ლატეს ამოარტყამს ორის ნაცვლად, ეს იმიტომ, რომ მომხმარებელი შავია.

ზოგიერთი ნახსენები შემთხვევა შეიძლება მართალია, მაგრამ შავკანიანობა ყოველთვის ვერ იქნება თუნდაც მცირე წარუმატებლობისაგან დამცველი. ფაქტია, რომ ზოგჯერ სხვა ადამიანი მეტად იმსახურებდა დაწინაურებას, ან შეიძლება მოლარე ახალბედაა და უკეთესად მომსახურება არ იცის. ყველაფერს ყოველთვის კანის ფერი არ განსაზღვრავს.

ყველა შავკანიანი კარგად მღერის

საიდუმლო არაა, რომ უიტნი ჰიუსტონი და მერაია კერი კარგად მღერიან, მაგრამ არსებობს შეხედულება, რომ ყველა შავკანიანი კარგად მღერის, რაც უბრალოდ სიმართლე არ არის. იშვიათად ძალიან ნიჭიერი ფერადკანიანი ადამიანი ფენომენალური ხმით იბადება. ასე რომ, მაშინ, როცა რამდენიმე ასეული შავკანიანი ან ქართველი მომღერალი მსოფლიო დონეზეა აღიარებული მათი არაადამიანური ხმისა და ნიჭის გამო, უმრავლესობა ჩვენგანი მხოლოდ საშხაპეში შესრულებული სიმღერებით იქნება ცნობილი.

ყველა შავკანიანი სწრაფად დარბის

მაშინ, როცა ლეონ და მალიკ იობას 100 მეტრის 9,3 წამში გარბენა შეუძლიათ, მიუხედავად რასისა, უმრავლესობისთვის ამაზე ოცნებაც კი შეუძლებელია. თუმცა, ისინი ისურვებდნენ დაეჯერებინათ, რომ შავკანიანები მორბენლის ჯადოსნური გენით იბადებიან. მაგრამ ეს გენი უბრალოდ არ არსებობს. უსეინ ბოლტი ერთია მილიონიდან და არა - სამიდან.

ყველა შავკანიანი ერთმანეთს ჰგავს

თუ ერთს შეხვდები, შეხვდები ყველას - დაახლოებით ასე ამბობენ, როცა შავკანიანები მოდიან. ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობის მიხედვით, პატარა ტომი ჯონსი ლოს ანჯელესის ქრენშოუდან კენი ვესტის უეჭველი ტყუპისცალია. ხოლო თუ ამას ABC - ს ათქმევინებთ, გამოვა, რომ ბილ რასელი და მორგან ფრიმენი ერთი და იგივეა.

მინდა განვაცხადო, რომ თითოეული შავკანიანი არ იზიარებს ერთსა და იმავე გენს. ჩვენ ვიბადებით მრავალ ფერსა და ზომაში. ზოგიერთს აქვს სქელი, ხვეული თმა, სხვებს - აბრეშუმით სწორი; იმაზე თუ არაფერს ვიტყვით, რომ ზოგიერთი ჩვენგანი უფრო მაღალია, ვიდრე სხვები. ის აზრი, რომ ყველა შავკანიანი ერთმანეთს ჰგავს, სიმართლე არასოდეს იქნება.

შავკანიანებს უფრო პატარა ტვინი აქვთ

მეცნიერები წლობით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ შავკანიანების ტვინის ზომა და უნარები უფრო მცირეა, ვიდრე თეთრკანიანისა. მაგრამ ვერანაირმა კვლევამ ვერ შესძლო ამის დამტკიცება. იდეა სულელურია. მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ცენტრები იყო მაღიში, დასავლეთ აფრიკაში - ყველაზე მეტად ცნობილი წიგნების ვაჭრობითა და იდეების გაცვლით. ხალხს შეუძლია გააგრძელოს იმის მტკიცება, რომ შავკანიანი ხალხი ვერ აღწევს სხვა რასების დონეს, მაგრამ ეს დაუსრულებელი პროცესი იქნება.

აქტივობა მეოთხე (დრო 10წთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ გამზადებულ ტექსტურ მასალას, რომელიც აღებულია ჩირლიდერების ბლოგიდან. სტატიის ავტორი თვითონაა მომხრეთა გუნდის წევრი. <http://www.omnicheer.com/blog/post/myth-busted-all-cheerleaders-are-miss-popular> საიტიდან. ამ ბლოგში გაქარწყლებულია ვიდეოკლიპში ნაჩვენები ჩირლიდერების სახე, ქცევა და ადგილი სასკოლო საზოგადოებაში.

*It's round two of [cheerleading myths](#)! First up to the plate is the myth that **all cheerleaders are in the "popular crowd"** at school. While this may not seem necessarily like a negative myth, it actually can be. In the media, the stereotype is that cheerleaders are popular and therefore mean to those that aren't deemed "popular." This **is also associated with being judgmental, exclusive, and a bully**. Additionally, the fact of the matter is, being on the cheer squad isn't a popularity guarantee. Here's why that myth is wrong:*

The Cheer Squad Isn't Always Popular

At some schools, [the cheer squad](#) isn't the most popular group. Maybe the cheer squad has a bad reputation or is a small team at a large school. Think about big sports schools: chances are, a lot of other sports are the big popular groups, like the football team. Or, if your school is known for its tennis program, the tennis team might be most popular. At art schools, the drama group might be the big guys on campus. It all depends on the school you attend!

Individuals are Popular, Not Entire Groups

Being part of a popular group doesn't guarantee that you, as an individual, will be popular. Think about it in these terms: maybe the school knows about the cheer squad and [how great the team is](#), but they don't know you individually. Some schools see the team as one unit, not a group of people that have their own tastes, styles, and personalities.

Not All Cheerleaders Want to Be Popular

The myth that cheerleaders are popular insinuates that cheerleaders want to be popular. That isn't the case for everyone! Some people are shy or prefer to have a few close friends as opposed to a bunch of acquaintances. Some people [prefer to study](#) on their lunch break or enjoy staying home instead of going to parties. Just because someone is a cheerleader, doesn't mean he or she wants to be popular or is trying to be popular.

Popularity Doesn't Always Equal Friends

Keep in mind that being popular shouldn't be your goal. Instead, focus on being kind and friendly to your peers. That will make you popular in a much better way. There's a big difference between being the "popular one" and being a great person that a lot of people like. Sometimes a person is popular only because they're intimidating or have expensive clothes. That doesn't mean they're liked by everyone! Even if your cheer squad is the popular group at school, make sure you're popular for the right reasons.

On the other side of the spectrum, don't think we're saying that you're shallow if you want to be popular. Most people want to be liked by others, it's natural! The key is finding the balance and understanding the real definition of popularity. Don't think you have to pick on the "dork" or [make a joke about someone](#) just to get people to like you or find you funny. Be a friend to others and others will be a friend to you.

გთავაზობთ მასალის ქართულ თარგანს:

არსებობს მომხრეთა გუნდების შესახებ ორი მითი. პირველი არის ის, რომ მომხრეთა გუნდის ყველა წევრი სკოლის პოპულარულ მოსწავლეებს შორისაა. შესაძლოა, ეს არცთუ ცუდი მითი იყოს, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, სინამდვილეში ასეც იყოს. მედიაში არსებობს სტერეოტიპი, რომ მომხრეთა გუნდის წევრი პოპულარულია, სინამდვილეში ისინი არ მიიჩნევიან პოპულარულებად. მომხრეთა გუნდის წევრები ასევე ასოცირდებიან სხვების დამცირებასა და ტრაზახთან, მათ განსაკუთრებულობასთან. გარდა ამისა, საქმე ისაა, რომ მომხრეთა გუნდის წევრობა არ არის პოპულარულობის გარანტია. მოდით, ჩამოგითვლით მიზეზებს.

მომხრეთა გუნდი ყოველთვის არაა პოპულარული

ზოგიერთ სკოლაში მომხრეთა გუნდი ყოველთვის არაა პოპულარული ჯგუფი. მას შეიძლება ცუდი რეპუტაცია აქვს, ან პატარა გუნდია დიდ სკოლაში. წარმოდგინეთ დიდი სპორტული სკოლა: შესაძლებელია ასეთ სკოლაში სხვა დიდი სპორტული გუნდია, მაგალითად, საფეხბურთო გუნდი. ან შესაძლებელია, სკოლა ცნობილი იყოს მისი საჩოგბურთო პროგრამით, ამიტომ ჩოგბურთის გუნდი ყველაზე პოპულარული იყოს. ხელოვნების სკოლაში კი შესაძლებელია თეატრალურ ჯგუფში დიდი ბიჭები იყვნენ კამპუსიდან. ყველაფერი იმ სკოლაზე დამოკიდებული, სადაც დადიხართ.

ცალკე პიროვნებებია პოპულარული და არა მთელი ჯგუფები

პოპულარული ჯგუფის წევრობა არ იძლევა შენი, როგორც პიროვნების, პოპულარულობის გარანტიას. დაფიქრდით, შეიძლება სკოლაში იციან მომხრეთა გუნდის შესახებ - თუ რამდენად ბრწყინვალეა იგი, მაგრამ არ იციან შენი პიროვნების შესახებ. ზოგან ხედავენ გუნდს, როგორც ერთ ერთეულს და არა ხალხის ჯგუფს, რომელთაც საკუთარი სტილი, გემოვნება და პიროვნული თვისებები აქვთ.

მომხრეთა გუნდის ყველა წევრს არ სურს პოპულარობა

მითი, რომ მომხრეთა გუნდიდან ყველა პოპულარულია, გვაფიქრებინებს, რომ მათ პოპულარობა სურთ. მაგრამ ამას ყველაზე ვერ ვიტყვით. ზოგიერთი მორცხვია ან სურს, მხოლოდ რამდენიმე ახლო მეგობარი ჰყავდეს და არა უამრავი ნაცნობი. წვეულებებზე სიარულის ნაცვლად, ზოგიერთს ურჩევნია შესვენებაზე იმეცადინოს, ან სახლში ყოფნით დატკბეს. მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც მომხრეთა გუნდის წევრია, არ ნიშნავს იმას, რომ მას პოპულარობა სურს, ან ცდილობს, პოპულარული იყოს.

პოპულარობა ყოველთვის არ ნიშნავს მეგობრებს

დაიმახსოვრეთ, რომ პოპულარობა თქვენი მიზანი არ უნდა იყოს. ამის ნაცვლად, იყავით კეთილები და მეგობრულები თანატოლების მიმართ. ეს თქვენ ბევრად უკეთესი გზით გაგხდით პოპულარულს. დიდი განსხვავებაა „პოპულარულსა“ და შესანიშნავ ადამიანს შორის, რაც ბევრს მოსწონს. ზოგიერთი პოპულარულია მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას აშინებს, ან ძვირფასი ტანსაცმელი აცვია. ეს არ ნიშნავს, რომ ის ყველას მოსწონს! იმ შემთხვევაშიც კი, როცა პოპულარულ მომხრეთა გუნდის წევრი ხართ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენ კარგი მიზეზით ხართ პოპულარული.

არ მინდა იფიქროთ, თითქოს ვამბობდე, რომ თქვენ ზერელე ან ფუქსავატი ხართ, თუ პოპულარობა გსურთ. ადამიანების უდიდეს ნაწილს სურს, სხვებს მოსწონდეთ, ეს ბუნებრივია! მთავარია პოპულარობის რეალური განსაზღვრების ბალანსისა და გაგების პოვნა. არა მგონია, გასურდეთ, იყოთ „ასოციალური ადამიანი“ ან დასცინოთ ვინმეს, რათა ხალხს თავი მოაწონოთ, ან ჩათვალონ, რომ სასაცილო ხართ. იყავით მეგობარი სხვებისთვის და ისინიც თქვენი მეგობრები გახდებიან.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს, რომელსაც თითოეული მოსწავლე ავსებს. მოსწავლეები ადარებენ მათ მიერ ადრე მიღებულ ინფორმაციას (<https://www.youtube.com/watch?v=go3ELJdpkx4>) ახალ ინფორმაციას (<http://www.omnicheer.com/blog/post/myth-busted-all-cheerleaders-are-miss-popular>).

კითხვარი N2

სტერეოტიპი 1	სტერეოტიპი 2
ყველა ჩირლიდერი პოპულარულია	ჩირლიდერები სხვებს ამცირებენ, ტრაზახობენ და თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ

პოპულარობა სკოლაში
ქეთევან ცალუღელაშვილი

მისი დამღევის გზა მასმედიის მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით ინფორმაციის გადამოწმება	მისი დამღევის გზა მასმედიის მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით ინფორმაციის გადამოწმება
მოიყვანეთ მაგალითი ქართულ კონტენტში მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა ავრცელებს აზრს, რომ ბიჭი გოგონაზე ჭკვიანია, როცა გოგონები ბევრად უკეთ სწავლობენ.	მოიყვანეთ მაგალითი ქართულ კონტენტში ქართველ ბიჭებში კარგ ტონად ითვლება ქურდული ტერმინოლოგიისა და მანერების ცოდნა; თვლიან, რომ ცხოვრებაში გამოადგებათ.

გაკვეთილის შეჯამება და საშინაო დავალების მიცემა (დრო 10 წუთი)

საშინაო დავალება: მოიძიეთ დამატებითი მასალა თემაზე „მითები, სტერეოტიპები, ლეგენდები“ ინტერნეტში და მითითებულ ინფორმაციას მიუთითეთ წყარო და დაასაბუთეთ სანდოობა.

შეფასების კრიტერიუმები:

მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები	კი	არა
ინტერნეტში მოძიებული მასალა შეიცავს ინფორმაციას მითებზე/სტერეოტიპებზე/ლეგენდებზე		
მოსწავლეს იდენტიფიცირებული აქვს მითი/სტერეოტიპი/ლეგენდა		
მსჯელობს მითის/სტერეოტიპის/ლეგენდის მიზნობრივ აუდიტორიასა და მის გავლენაზე		
შეუძლია მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება		
შეუძლია მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება სხვა წყაროებზე დაყრდნობით		

გამოყენებული მულტიმედია რესურსები

<https://www.youtube.com/watch?v=go3ELJdpkx4>

Myth Busted: All Cheerleaders are Miss Popular ,

<http://www.blackenterprise.com/functional/black-history-month/10-black-people-myths-stereotypes-unbelievable/>